ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1748553

ნომერი: AR1281805

თარიღი : 28.01.2015

გაცემის თარიღი : 23.02.2015

გაცნობის თარიღი : 23.02.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N6ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია ხავთასი პ/ნ 01020010688
- თბილისი მ.მესხის ქ. N 26ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ აღნიშნული ხარვეზების შესახებ თქვენ უკვე გეცნობათ AR1168716 განცხადებაზე №952470 გადაწყვეტილებით, რაც თქვენი მხრიდან გამოსწორებულ იქნა, თუმცა ამჟამად წარმოდგენილი დოკუმენტაციით გამოვლინდა ახალი გარემოება, კერძოდ:

1. ვინაიდან თქვენს მიერ ამჟამად წარმოდგენილი დოკუმენტაციით საპროექტო შლაგბაუმის განთავსების ადგილი შეცვლილია და მისი განთავსება ხდება სხვა საკადასტრო ერთეულზე, რომლის საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები ამხანაგობასა და შპს "ჯაზა"-სთან ერთად არიან სახელმწიფო და თანამესაკუთრენი, საჭიროა წარმოადგინოთ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო-ს თანხმობა, ასევე ცნობა საჯარო რეესტრიდან თანამესაკუთრენის შესახებ და შესაბამისად ყველას თანხმობა შლაგბაუმის განთავსებაზე, აღნიშნული დოკუმენტაციები შეგიძლიათ ატვირთოთ "დამატებითი დოკუმენტაციის" ველში ერთ pdf ფაილად;
2. ფოტომონტაჟის ველში არის ძველი დოკუმენტაცია. ფოტომონტაჟის ველში ატვირთეთ "ფაილის მიმაგრების" ველში ატვირთული ახალი დოკუმენტაცია.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.